

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ: გ.ხელაძეს
ამავე საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო,
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარის რ.ბიწაძის


მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ კომისიის 2016 წლის 25 ოქტომბრის N34 სხდომის ოქმს,
კომისიის დასკვნას, კომისიის წევრების სარეგისტრაციო ფურცელს.
დანართი-9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

რომან ბიწაძე



კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო,
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N34

ლანჩხუთი

25.10.2016 წ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რ.ბიწაძე, გ.კერესელიძე, ა.ქანთარია,
კ.ასკურავა, ი.სარჯველაძე.
არ ესწრებოდა: ა.ხუხუნაიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა რ.ბიწაძე.

დღის წესრიგი

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის რომან ბიწაძის საჯარო ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

3.სხვადასხვა

რ.ბიწაძემ საჯარო შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. შევეცდები წარმოგიდგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს როგორც საკრებულოს წევრის ჩემს მიერ გაწეულ მუშაობას და რომელიც ამავდროულად გულისხმობს ჩემს მიერ გაწეულ მუშაობას როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე. ზოგადად მოგაწოდებთ ინფორმაციას კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებაც.

მე ვარ რომან ბიწაძე, საკრებულოს წევრი არჩეული პარტიული სიით კოალიცია „ქართული ოცნებიდან“, პარტიული კუთვნილებით ვარ საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრი. საკრებულოში არჩეული ვარ ზემოდ დასახელებული კომისიის თავმჯდომარედ, ამავდროულად ვიყავი საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების კომისიის წევრი თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა. მე ვარ საკრებულოს ერთადერთი წევრი რომელსაც არ მაქვს გაცდენები როგორც საკრებულოს და ასევე იმ კომისიების სხდომებისა რომლის წევრიც ვარ. გაცდენებში ვგულისხმობ გაცდენებს როგორც საპატიო ისე არასაპატიო მიზეზებით. მხოლოდ ერთ შემთხვევაში მაქვს გაცდენა ბიუროს სხდომის ისიც შვებულებაში ყოფნის გამო.

კომისიამ რომელსაც ვხელმძღვანელობ საანგარიშო პერიოდში გამართა 33 სხდომა საკრებულოს რეგლამენტის და კომისიის დებულების დაცვით, მათ შორის 26 მორიგი, ანუ სავალდებულო და 7 რიგგარეშე სხდომა. კომისია შედგება 6 წევრისაგან, ესენია: რ.ბიწაძე, ა.ქანთარია, ა.ხუხუნაიშვილი, გ.კერესელიძე კ. ასკურავა და ი.სარჯველაძე. კომისიის სხდომებზე წევრების დასწრების ხარისხობრივი მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია: გ.კერესელიძე-1 საპატიო გაცდენა; ა.ქანთარია-1 საპატიო გაცდენა; ა.ხუხუნაიშვილი-1 გაცდენა; კ. ასკურავა-4 გაცდენა, მათ შორის 2 საპატიო მიზეზით; და ი.სარჯველაძე-არცერთი გაცდენა.

საკრებულოს სხდომებზე საკითხის გამომტანად და მთავარ მომხსენებლად კომისიამ 90 შემთხვევაში იყო რაც ბევრად აღემატება სხვა კომისიების ანალოგიულ მაჩვენებლებს. საკრებულოს ბიუროს სხდომებზე მთავარ მომხსენებლად და საკითხის გამომტანად კომისია 75 შემთხვევაში იყო, რაც ასევე მაღალი მაჩვენებელია. უშუალოდ კომისიის სხდომებზე განხილული იყო 134 საკითხი. კომისიის მიერ მომზადებულია 30-მდე მეტი დასკვნა სხვადასხვა საკითხებზე. კომისიის მიერ მომზადებული იყო 10-ზე მეტი საკრებულოს ნორმატიული აქტი რომელთა ჩამოთვლას არ შეუდგები.

საანგარიშო პერიოდში მქონდა მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან სამინისტროების სახით და საქართველოს პარლამენტთან, რომელიც შეეხება ჩემს ინიციატივებს, წინადადებებს და რეკომენდაციებს კანონის ან

კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების შეტანას. საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ ზემოდ დასახელებულ უწყებებში შეტანილია 6 ინიციატივა, რომელთაგან ზოგიერთი აისახა თვითმმართველობის კოდექსში. ალბათ თქვენთვის საინტერესო იქნება თუ რა საკითხებს შეეხებოდა ჩემი ინიციატივები. პირველი შენიშვნა შეეხებოდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების პრობლემას. კოდექსის მანამდე არსებული რედაქცია გულისხმობდა, რომ საკრებულოს ნებისმიერი წევრი, მნიშვნელობა არ ქონდა მას საკრებულოში ეჭირა თუ არა რაიმე თანამდებობა იღებდა კომპენსაციას ფულადი სახით ხარჯების ანაზღაურების მხრივ. კანონის ეს ნორმა არასოდეს არ მომწონდა რადგან ვთვლიდი, რომ საკრებულოს თანამდებობის პირებს ისედაც ქონდათ საშუალებები განხორციელებინა კანონით მინიჭებული უფლებები და არ მიმაჩნდა სწორად თანამდებობის პირებს მიეღოთ კომპენსაცია. საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს ეს აზრი გაუზიარე, მას მოეწონა და შევთავაზეთ საკრებულოს ბიუროს წევრებს, რომლებიც არიან თანამდებობის პირები ნებაყოფლობით გვეთქვა უარი მიგველო აღნიშნული კომპენსაციები. უნდა აღინიშნოს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო იყო იშვიათი გამონაკლისი, რომლის თანამდებობის პირები არ ვიღებდით კომპენსაციებს. დავამატებდით რომ ჩვენ არც პრემიები აგვიღია განსხვავებით სხვა საკრებულოებისაგან რადგან ვთვლით, რომ საპრემიო საქმეები ჯერჯერობით არ გაგვიკეთებია. საქართველოს პარლამენტის მიერ გაზიარებული იქნა ჩემი შენიშვნები და კანონში ჩაიწერა, რომ სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელ ხარჯებს მიიღებენ მხოლოდ საკრებულოს არათანამდებობის პირები. ეს ნორმა 2015 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა მთელ საქართველოში.

ერთ-ერთი საკანონმდებლო ინიციატივა შეეხება ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებულ პრობლემას. თუ ვინმეს ქონია შეხება ამ საკითხთან მათ კარგად იციან, თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული იგი. ყველანაირი მეთოდი დაშვებული, თუ დაუშვებელი მათ შორის პირადი ნაცნობობაც გამოვიყენე, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ტყის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველ პუნქტს დამატებოდა სიტყვა ტრანსპორტირება. ჩანაწერს ასეთი სახე აქვს „ხე-ტყის დამზადება არის სატყეო-სამეურნეო ღონისძიება მერქნის მოპოვების მიზნით, რომელიც გულისხმობს: ზეზედგომი ხის მოჭრას, დახარისხებას და ტყიდან გამოტანას (ტრანსპორტირებას)“. აღნიშნული კანონი უნდა ამოქმედდეს 2017 წლის პირველ იანვრიდან და ვიმედოვნებ, რომ მცირეოდენ შვებას იგრძნობს გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახურიდან აწიოკებული მოსახლეობა. მაგალითისათვის შემიძლია მოვიყვანო მოქალაქეების ანდლულაძე(ჩოჩხათი) და იმნაძის (ჩიბათი) შემთხვევები. ორივე შემთხვევაში გარემოს დაცვის

ზედამხედველობის სამსახურს შედგენილი ქონდა ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა აქტები ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების თაობაზე. კომისიის სახელით ორივე შემთხვევაში დავაყენეთ შუამდგომლობის საკითხი სასამართლოს წინაშე, რომ მათ მიმართ არ გატარებული იყო ადმინისტრაციული სახდელეები ანუ, ჯარიმები. სასამართლომ ორივე შემთხვევაში გაითვალისწინა ჩვენი შუამდგომლობა. მაგრამ რამდენი იქნება ისეთი ფაქტი, რომ მოქალაქეები ელემენტარულად ჩვენამდე ვერც მოდიან და ბუნებრივია უმეტეს შემთხვევაში ისინი ჯარიმდებიან. სწორედ აი ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტის სურვილი მამოძრავებდა, რომ არსებულ კანონპროექტის შესაბამის მუხლს დამატებოდა სიტყვა „ტრანსპორტირებას“. აქტიურად ვიყავი ჩართული „ხმაურის შესახებ“ კანონპროექტის სრულყოფის პროცესში, სამწუხაროდ დღევანდელი მოწვევის პარლამენტმა მისი მიღება ვერ მოახერხა.

ერთი წინადადება და მოსაზრება, რომელიც შეეხება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხს არ იქნა გაზიარებული, უფრო სწორად საქართველოს პარლამენტი მისაღებად მიიჩნევდა ხოლო საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრომ მიუღებლად ჩათვალა.

ჩემი ერთერთი საკანონმდებლო ინიციატივა შეეხება მუნიციპალიტეტების საპრივატიზაციო ობიექტების საწყისი გასასყიდი ფასის დადგენის საკითხს. საქმე იმაში გახლავთ მუნიციპალიტეტები ასეთი ობიექტების საწყის ფასს განსაზღვრავენ კერძო აუდიტის შეფასებების საფუძველზე, რომელიც წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს. მაგალითად პროცესი დროში ჭიანურდება იმიტომ, რომ აუდიტის შერჩევას, მის მიერ დასკვნის მომზადებას გარკვეული დრო სჭირდება. პრობლემატურია აუდიტის ანაზღაურების საკითხიც, რადგან მუნიციპალიტეტების უმრავლესობა ამ მიმართულებით თანხების ქრონიკულ დეფიციტს განიცდის. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. იმის გამო კერძო აუდიტი აფასებს საპრივატიზაციო ობიექტების საწყის ფასს შეფასებებისას ყოველთვის ადგილი აქვს ინდივიდუალურ მიდგომას, ანუ შესაძლებელია ერთგვაროვანი ობიექტები სხვადასხვა ფასად იყოს შეფასებული არამარტო სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, არამედ მუნიციპალიტეტის შიგნიდან. აუდიტის მიერ ობიექტის შეფასებას აქვს ასევე ის ნაკლიც, რომ ყოველი შეფასებისას როგორ ობიექტურადაც არ უნდა ჩატარდეს პროცესი ყოველთვის ჩნდება იმის განცდა საზოგადოებაში, რომ აუდიტმა ან თვითმმართველობამ ხელოვნურად ხომ არ შეამცირეს ან პირიქით გაზარდეს საპრივატიზაციო ობიექტების ფასი. ვფიქრობ უმჯობესია არსებობდეს მარტივი ასევეთქვათ მათემატიკური ფორმულა, რომლის მეშვეობით მუნიციპალიტეტები თავად განსაზღვრავენ საწყის ფასებს. ეს

შესაძლებელია რადგან მუნიციპალური ქონებები პაქტიკულად ყველა მუნიციპალიტეტში ტიპური, საბჭოური მშენებლობის ობიექტებია და ისინი მხოლოდ აშენების თარიღით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასეთი ფორმულის არსებობის შემთხვევაში ვიგებთ დროში, ვზოგავთ თანხებს და პრაქტიკულად კითხვებიც მოხსნილია. რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია აღნიშნული შეთავაზება გაზიარებულია მთავრობის მიერ და პროექტის სახით უკვე არსებობს, რომელიც უნდა აისახოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში.

აქტიურად ვიყავი ჩართული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შესახებ კანონის ფორმირებაში, რადგან აღნიშნული თემა რესპუბლიკური პარტიის თემაა, რომელიც თინა ხიდაშელმა დააყენა დღის წესრიგში ჯერ კიდევ თბილისის საკრებულოს წევრობისას, და რომელიც შემდგომ გადატანილი იქნა საქართველოს პარლამენტში.

მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ უმნიშვნელო წვლილი მაინც მაქვს შეტანილი მიწის რეგისტრაციისა და ლეგალიზების გამარტივების საქმეში, ასევე სამხედრო სამსახურის მოსამსახურის მიერ საცხოვრებელ მისამართთან ახლოს გავლის შესაძლებლობაში.

ჩემს მიერ მომზადებული იყო და კომისიის მიერ მოწონებული იყო საფეხბურთო კლუბ „გურიას“ შესაძლო სპონსორთა საბაზისო ხელშეკრულებით გასათვალისწინებელი წინადადებები.“ სხვათაშორის ამ მიმართულებით ვინმეს რაიმე ანალოგიური გაეკეთებინოს არ მახსენდება. მიხარია, რომ აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკება ინვესტორთა ჯგუფთან და იმედს ვიტოვებ აღნიშნული წინადადებები დღის სინათლეს ნახავენ.

საანგარიშო პერიოდში მქონდა 5 გასვლითი შეხვედრა მოსახლეობასთან მაჩხვარეთის, ნიგოთის, ქალაქის, შუხუთის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში, და ერთი საჯარო ანგარიში ამომრჩევლებთან. შეხვედრებს ქონდა ერთი მიზანი გამეგო, თუ როგორ იყვნენ ინფორმირებულები ჩვენი მოსახლეობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ და როგორ იყო მათი ხედვები ბიუჯეტის პრიორიტეტების მიმართ. შეხვედრებმა კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ ჩვენი მოსახლეობა ნაკლებად ინფორმირებულები არიან საბიუჯეტო პროცესის თაობაზე, ანუ ის საშვალეები რომლითაც ჩვენ მათ ინფორმირებას ვახორციელებთ აშკარად არასაკმარისია, ამას ემატება ის გარემოება, რომ თვითონ ბიუჯეტის ფორმატს რთული გასაგებია მოქალაქეებისათვის და არამარტო მათთვის. შეხვედრებმა აშკარად დაგვანახა, რომ მოქალაქეები პრიორიტეტებს ისეთ საკითხებს როგორცაა დასაქმება, გაზიფიცირება, გზების კეთილმოწყობა, საბავშო ბაღები, წყალმომარაგება და ა.შ. სამწუხაროდ ფეხბურთი არცერთ შეხვედრაზე პრიორიტეტად არ დასმულა. როცა მათ ვუხსნიდი, რომ დასაქმება და გაზიფიცირება ყველაზე ნაკლებად შედის

მუნიციპალიტეტის მოვალეობაში მეთქი მაშინ ისინი საბავშვო ბაღებს და საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოებს მთავარ პრიორიტეტებად ასახელებდნენ. არაფერს ვამბობთ მიმიე სოციალური ფონის გამო საცხოვრებლად საშიში სახლების შეკეთების და ზოგადად დახმარებების პრობლემაზე, რომელიც თითქმის თანაბრად აწუხებს ჩვენი მოსახლეობის ამ კატეგორიას. ბიუჯეტის საკითხებზე სიღრმეში არ შევალ რადგან ვთვლი, რომ ჩემი დამოკიდებულება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან თქვენთვის ცნობილია.

ჩემი სამუშაო ოთახის კარები ყოველთვის ღიაა მთხოვნელთათვის, რომელთა რაოდენობა დღეში საშუალო 6-7 ადამიანია, ვცდილობ მათ შეუქმნა თავისუფალი გარემო კომუნიკაციისთვის და მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში უპასუხო მათ წერილობით თუ ზეპირ განცხადებებს.

მომხრე:5 წინააღმდეგი: არცერთი

რ.ბიჭაძემ კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხრე:5 წინააღმდეგი: არცერთი

ამით სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე



რ. ბიჭაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

2800 ქ.ლანჩხუთი, კოსტავას N37 ტელ: 591.32.41.41

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

N34 სხდომის დასკვნა

ქ.ლანჩხუთი

25.10.2016 წ

2016 წლის 25 ოქტომბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის რომან ბიწაძის საჯარო ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული

წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

3. სხვადასხვა

დღის წესრიგის პირველ საკითხზე-კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის რომან ბიწაძის საჯარო ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მიღებული იქნას ცნობად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე-კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.





სხდომის თავმჯდომარე



რ. ბიწაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ
საკითხთა და ეთიკის კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი.

25.10.2016 წ.

1.	რომან ზინაძე	
2.	გურამ კერესელიძე	
3.	ადამ ხუბუნაიშვილი	არ ესწრებოდა
4.	ამირან ქანთარია	
5.	კახაბერ ასკურავა	
6.	იოსებ სარჯველაძე	